ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

ლ. ც. ადვოკატ მ. შ.-ს წინააღმდეგ

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.02.2012

საჩივრის რეგისტრაციის № 022/12

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 28.08.2012

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. შ.-ს მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. შ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 23 თებერვალს ლ. ც.-მ მომართა ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ მ. შ.-თვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2011 წლის 30 აგვისტოს ადვოკატ მ. შ-თან გააფორმა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე სამოქალაქო საქმეზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. შ.-ს გადაუხადა იურიდიული მომსახურების საფასური 1500 ლარის ოდენობით, ხოლო საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, დამატებით უნდა გადაეხადა 4000 აშშ დოლარი.

1.4 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატი მ. შ. შეჰპირდა საქმის შესწავლას და ყველა საჭირო დოკუმენტის მოძიებას. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. შ.-მ ურჩია, რომ საქმე სამემკვიდრეო გზით წარემართათ, რადგან ლ. ც. წარმოადგენდა ა. ც.-ის მემკვიდრეს და ადვოკატმა საქმის წარმოება დაიწყო სამემკვიდრეო გზით.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. შ.-მ 2011 წლის 25 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი. საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 31 ოქტომბერს განუსაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად, რომელიც გაუგრძელა 2011 წლის 9 და 28 ნოემბრის, ასევე 2011 წლის 12 დეკემბრის განჩინებებით. საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლომ მოითხოვა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, თუ რა ქონება ირიცხებოდა გარდაცვლილი ა. ც.-ს სახელზე და აუდიტის დასკვნის წარდგენა ქონების ღირებულების თაობაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობის დადგენის მიზნით.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. შ.-თან კონსულტაციის შედეგად, ჩაატარა კერძო აუდიტი, რომლიც ღირებულებამ შეადგინა 300 ლარი და 2011 წლის 26 დეკემბერს კერძო აუდიტის დასკვნა წარადგინა სასამართლოში ხარვეზის შევსების მიზნით.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. შ.-ს უნდა მიემართა საჯარო რეესტრისა და არქივისთვის, რათა მოეპოვებინა სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი ა. ც.-ს სახელზე რიცხული ქონების შესახებ. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. შ.-მ განუმარტა, რომ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრსა და არქივს აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის ნათქვამში ეჭვი შეეპარა და გადამოწმების შემდეგ აღმოაჩინა, რომ ადვოკატს არ მიუმართავს რეესტრისა და არქივისთვის და მოატყუა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან თავად მიმართა არქივს და გაარკვია, რომ მისი პაპის სახელზე სასამართლოს მიერ მოთხოვნილი საბუთი არ არსებობდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი დარწმუნდა, რომ საქმის სამემკვიდრეო გზით წარმართვას აზრი არ ჰქონდა და დარჩა „ასტუპნიკების“ გზა, რომელიც უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის და ადვოკატ მ. შ.-ს თავიდანვე უნდა განემარტა ამის თაობაზე.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. შ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ 2012 წლის 26 დეკემბრის განცხადებაში ხარვეზის შევსების შესახებ მიუთითა, რომ მისი კლიენტი არის მეორე ჯგუფის ინვალიდი და აღნიშნული საფუძვლით მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნული გარემოება არ შეესაბამება სიმართლეს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დედამისი იყო

პენსიონერი და ჰკითხა, თუ იყო შესაძლებელი ამ საფუძვლით ბაჟის გადახდის განაწილვადება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას არ უნდოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა მანამ, სანამ ადვოკატი მ. შ. არ მოიპოვებდა სასამართლოს მიერ მოთხოვნილ დოკუმენტს საჯარო რეესტრიდან, რადგან სახელმწიფო ბაჟის გადახდას აზრი ჰქონოდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლომ მოსთხოვა საჩივრის ავტორს ინვალიდობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა, რაც მან ვერ წარადგინა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ საჩივრის ავტორმა არ წარადგინა მის მიერ მითითებული გარემოების, ინვალიდობის, დამადასტურებელი მტკიცებულება. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ვერ წარადგენდა მტკიცებულებას, რადგან დედამისი იყო პენსიონერი და არ იყო ცნობილი ინვალიდად.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2012 წლის 03 იანვარს მიიღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი თქმის შესახებ, რაც გამოწვეული იყო ადვოკატ მ. შ.-ს არაკვალიფიციურობით. ადვოკატმა მ. შ.-მ არ მოიპოვა დოკუმენტი ა. ც.-ს სახელზე რიცხული ქონების შესახებ საჯარო რეესტრიდან და არქივიდან სასამართლოში წარსადგენად და სასამართლოს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია კლიენტის ინვალიდობის თაობაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების მიზნით.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან დაკარგა ადვოკატ მ. შ.-ს ნდობა, რის გამოც ადვოკატს მოსთხოვა საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა და თანხის დაბრუნება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს გაუგზავნა დაზღვეული წერილი და გააფრთხილა, რომ საადვოკატო მომსახურების თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში მიმართავდა სათანადო ორგანოებს.

1.12 საჩივრის ავტორის განცხადებით, მხარეთა მოლაპარაკების თანხმად, ადვოკატ მ. შ.-ს თანხა უნდა დაებრუნებინა 2012 წლის 30 იანვარს. 2012 წლის 21 თებერვალს ადვოკატმა კლიენტს დაუბრუნა მომსახურების თანხის ნაწილი, 600 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა დღემდე არ დაუბრუნებია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის მ. შ.-ს განმარტებით, 2011 წლის 30 აგვისტოს მასსა და ლ. ც.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, ლ. ც.-მ გადაუხადა 1500 ლარი, ხოლო საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დამატებით უნდა გადაეხადა 4 000 აშშ დოლარი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ლ. ც.-მ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიაწოდა ინფორმაცია, რომ სადავო ქონება ა. ც.-ს უკვე ჰქონდა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული, თუმცა, ლ. ც.-ს განცხადების საფუძველზე ეს ჩანაწერი გაუქმდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის 24 ოქტომბერს შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში. ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა ხარვეზი და მოითხოვა ა. ც.-ს სახელზე არსებული ქონების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და სარჩელის ღირებულების განსაზღვრა აუდიტის დასკვნის შესაბამისად. ადვოკატის განმარტებით, მან იშუამდგომლა, რომ სარჩელის ფასის განსაზღვრა სასამართლოს მიერ მომხდარიყო, რაც სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს აუხსნა აუდიტის დასკვნის საჭიროება, თუმცა, კლიენტმა მიიღო გადაწყვეტილება კერძო სპეციალისტის მიერ აუდიტის ჩატარების თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, კერძო აუდიტის დასკვნის თანახმად, ქონების ღირებულება განისაზღვრა 74 700 ლარის ოდენობით, შესაბამისად, გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა წარმოადგენდა 2 241 ლარი, საიდანაც ლ. ც.-მ გადაიხადა 498 ლარი, ხოლო გადასახდელი დარჩა – 1 743 ლარი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, კლიენტის განმარტება, რომ საქმესთან დაკავშირებული ყველა საბუთი ადვოკატს უნდა მოეძიებინა, არ შეესაბამება სიმართლეს. ადვოკატის განმარტებით ხელშეკრულების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ კლიენტი ვალდებული იყო თავად მიეწოდებინა ადვოკატისთვის ყველა დოკუმენტი. ადვოკატის განმარტებით, მას არ მიუმართავს საჯარო რეესტრისათვის, რადგან ეს დოკუმენტი კლიენტს მისთვის თავად უნდა მიეწოდებინა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან ყველანაირი საშუალება გამოიყენა საქმის წარმატებით დასრულებისათვის, თუმცა, კლიენტმა არ შეასრულა თავისი ვალდებულებები და არ წარუდგინა ადვოკატს ყველა საჭირო საბუთი.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს არ უნდოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა და მისი ინიციატივა იყო სასამართლოსთვის მიემართათ განცხადებით სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადადების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ საჩივრის ავტორის დედა ინვალიდი იყო. ადვოკატის განმარტებით, მას არ ჰქონდა საჩივრის ავტორის დედის ინვალიდობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მას ჰქონდა მხოლოდ პენსიის საბუთი. ადვოკატის განმარტებით, მისი მთავარი მიზანი იყო, რომ სასამართლოს სარჩელი წარმოებაში მიეღო და არ დაედგინა ხარვეზი.

2.8 ადვოკატის განმარტებით, თბილისის სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ხოლო მან მოითხოვა გონივრული ვადა მტკიცებულებების წარსადგენად.

2.9 ადვოკატის განცხადებით, 2011 წლის 26 დეკემბერს კლიენტმა უარი განუცხადა საადვოკატო მომსახურების გაგრძელებაზე, თუმცა, ამავე დღეს მან შეიტანა სასამართლოში ხარვეზის შევსების განცხადება აუდიტის დასკვნასთან ერთად, რათა კლიენტს მომავალში არ ჰქონოდა პრობლემები.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2012 წლის 23 მარტს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. შ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ მ. შ.-ს მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილი.

3.3. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა მ. შ.-მ სასამართლოს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია კლიენტის შესახებ სასამართლოში საქმის წარმოებისას, ადგილი ექნება ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დასაცავად არაკანონიერი საშუალებების გამოყენებას.

3.4. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ თუ ადვოკატმა მ. შ.-მ არ მოიძია კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულება სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით, ადვოკატმა დაარღვია კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება.

3.5. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა მ. შ.-მ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების თაობაზე, კერძოდ, განუმარტა, რომ მტკიცებულების მოპოვების მიზნით მიმართა საჯარო რეესტრსა და არქივს და რეალურად არ განუხორციელებია ეს ქმედება, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტისთვის სწორი და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატმა მ. შ.-მ 2011 წლის 24 ოქტომბერს წარადგინა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში ლ. ც.-ს საქმეზე და თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ადვოკატს განუსაზღვრა საპროცესო ვადა ხარვეზის შესავსებად, რომელიც გააგრძელა 2011 წლის 09 და 28 ნოემბრის, ასევე 2011 წლის 12 დეკემბრის განჩინებებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ მ. შ.-ს 2012 წლის 7 მარტის ახსნა-განმარტება, საქმის ფურცელი 46

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 03 იანვრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

4.1.2. ადვოკატმა მ. შ.-მ 2011 წლის 26 დეკემბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით ხარვეზის შევსების შესახებ, სადაც მიუთითა, რომ მისი კლიენტი არის მეორე ჯგუფის ინვალიდი და აღნიშნული საფუძვლით მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ადვოკატ მ. შ.-ს 2012 წლის 26 დეკემბრის განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ, საქმის ფურცელი 79

4.1.3. ადვოკატმა მ. შ.-მ 2011 წლის 26 დეკემბრის განცხადებით ხარვეზის შევსების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ა. ც.-ს სახელზე არსებული ქონების ამონაწერი არ არის დაცული საჯარო რეესტრში და განცხადებით მიმართა ტექბიუროს არქივს, საიდანაც მიღებულ პასუხს 10 დღის ვადაში წარადგენდა სასამართლო სხდომაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ადვოკატ მ. შ.-ს 2012 წლის 26 დეკემბრის განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ, საქმის ფურცელი 79

4.1.4. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2012 წლის 3 იანვარის განჩინებით არ მიიღო ლ. ც.-ს სარჩელი წარმოებაში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 იანვრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

4.1.5. ლ. ც.-მ 2011 წლის 26 დეკემბერს შეწყვიტა ადვოკატ მ. შ.-თან დადებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ლ. ც.-ის 2011 წლის 26 დეკემბრის განცხადება ადვოკატ მ. შ.-ს მიმართ, საქმის ფურცელი 24
2. ეთიკის კომისიის 2012 წლის 24 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი, გვერდი 4

4.2. საქმეში დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.2.1. მიაწოდა თუ არა ადვოკატმა მ. შ.-მ საჩივრის ავტორსა და სასამართლოს ინფორმაცია საჯარო რესტრიდან და არქივიდან ა. ც.-ს სახელზე რიცხული ქონების ამონაწერის შესახებ განცხადების წარდგენის თაობაზე.

ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ:

ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. შ.-მ მიაწოდა ინფორმაცია, რომ წარადგინა განცხადებები საჯარო რეესტრსა და არქივში ა. ც.-ს სახელზე რიცხული ქონების ამონაწერის მიღების მიზნით და ელოდებოდა პასუხს. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მოგვიანებით თავად გადაამოწმა და გაარკვია, რომ ადვოკატს არ მიუმართავს საჯარო რეესტრისა და არქივისათვის.

ბ) ადვოკატ მ. შ.-ს განმარტებით, მას არ უთქვამს ლ. ც.-სათვის, რომ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრსა და არქივს, თუმცა სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია ამის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, მას არ მიუმართავს საჯარო რეესტრისა და არქივისთვის.

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა მ. ც.-მ საჩივრის ავტორსა და სასამართლოს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიმართა საჯარო რეესტრსა და არქივს. ეთიკის კომისია ეყრდნობა ადვოკატ მ. ც.-ის განმარტებას ეთიკის კომისიის განხილვის სხდომაზე, სადაც ადვოკატი ადასტურებს, რომ განცხადებით არ მიუმართავს აღნიშნული ორგანოებისათვის და ადვოკატის მიერ 2011 წლის 26 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ განცხადებას, სადაც ადვოკატი სასამართლოს აწოდებს ინფორმაციას, რომ მიმართა აღნიშნულ ორგანოებს.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ ადვოკატმა მ. ც.-მ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საჩივრის ავტორსა და სასამართლოს იმის თაობაზე, რომ მიმართა საჯარო რეესტრსა და არქივს ა. ც.-ს სახელზე რიცხული ქონების შესახებ ამონაწერის მიღების თაობაზე,

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულება:

1. ეთიკის კომისიის 2012 წლის 24 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი, გვ. 6, აბზაცი 6.
2. ადვოკატ მ. შ. ს 2012 წლის 26 დეკემბრის განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ, საქმის ფურცელი 79

4.2.2. მიაწოდა თუ არა ლ. ც.-მ ადვოკატ მ. შ.-ს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დედამისი მეორე ჯგუფის ინვალიდი იყო.

ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ:

ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, მას არ მიუწოდებია ინფორმაცია კლიენტისათვის, რომ დედამისი ინვალიდი იყო. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატ მ. შ.-ს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დედამისი იყო პენსიონერი.
ბ) ადვოკატ მ. შ.-ს განმარტებით, საჩივრის ავტორმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ დედამისი მეორე ჯგუფის ინვალიდი იყო.

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. შ.-ს არ ჰქონდა მტკიცებულება, რომ საჩივრის ავტორის დედა ინვალიდი იყო. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ მ. შ.-ს ჰქონდა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ საჩივრის ავტორის დედა იყო პენსიონერი. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატს არ ჰქონდა კლიენტისაგან მიწოდებული ინფორმაცია ინვალიდობის თაობაზე და თავისი ინიციატივით მიაწოდა არასწორი ინფორმაცია სასამართლოს.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ ლ. ც.-ს არ მიუწოდებია ინფორმაცია ადვოკატ მ. შ.-სათვის იმის თაობაზე, რომ დედამისი იყო მეორე ჯგუფის ინვალიდი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ეთიკის კომისიის 2012 წლის 24 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი, გვ. 7, აბზაცი 5.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. შ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ეთიკის კომისიამ დაადგინა, ადვოკატმა მ. შ.-მ დაარღვია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით,” რაც გამოიხატა ადვოკატ მ. შ.-ს მიერ სასამართლოსათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში.

6.2 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა მ. შ.-მ 2011 წლის 26 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი განცხადებით ხარვეზის შევსების თაობაზე სასამართლოს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია კლიენტის ინვალიდობისა და საჯარო რეესტრიდან და არქივიდან მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, თუმცა ადვოკატმა იცოდა, რომ აღნიშნული ინფორმაციები სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

6.3 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს უკანონო გზით კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა. ადვოკატის მიერ სასამართლოსთვის არასწორი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის მიწოდება საქმის წარმოების დროს, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, განიხილება, როგორც ადვოკატის მიერ უკანონო საშუალებების გამოყენება კლიენტის ინტერესების დასაცავად.

6.4 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Brandstetter v Austria (განაცხადი #11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) განმარტა: *„დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.“*

6.5 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე #010/10 დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: *„კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლინეტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.“*

6.6 ადვოკატმა მ. შ.-მ 2011 წლის 26 დეკემბრის განცხადებით ხარვეზის შევსების თაობაზე სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი კლიენტი იყო მეორე ჯგუფის ინვალიდი, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს და აღნიშნული საფუძვლით მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ მ. შ.-ს ჰქონდა მხოლოდ კლიენტის საპენსიო მოწმობა და არა კანონით დადგენილი წესით ინვალიდად ცნობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ადვოკატ მ. შ.-ს არ გადაუმოწმებია სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის ნამდვილობა კლიენტთან და თავის მხრივ ლ. ც.-ს არ მიუწოდებია ინფორმაცია ადვოკატისათვის აღნიშნულის თაობაზე. ადვოკატის მიერ განხორციელებულ ქმედების გამამართლებულად ვერ ჩაითვლება, ადვოკატის მიერ

კლიენტთან შეთანხმებითი მოქმდება ან კლიენტის დავალება სასამართლოსთვის არასწორი ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, რადგან ადვოკატი კლიენტის ინტერესებს დაცვისას შეზღუდულია კანონითა და ეთიკის ნორმებით.

6.7 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატ მ. შ.-ს არგუმენტს, რომ მის მიზანს წარმოადგენდა სასამართლოს მიერ კლიენტის საჩივრის წარმოებაში მიღება სასამართლოსთვის კლიენტის ინვალიდობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების დროს. ადვოკატ მ. შ.-ს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ სასამართლო მოსთხოვდა კანონით დადგენილი წესით წარედგინა მტკიცებულება კლიენტის მეორე ჯგუფის ინვალიდობის დადასტურების თაობაზე. სსსკ–ის 48–ე მუხლი ადგენს, რომ სასამართლოს მიერ ხარჯების გადავადება შესაძლებელია მხოლოდ მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი მ. შ. მომავალში ვერ წარადგენდა შესაბამის მტკიცებულებას სასამართლოში აღნიშნულის არარსებობის გამო, რის თაობაზეც ის ინფორმირებული იყო.

6.8 ადვოკატმა მ. შ.-მ 2011 წლის 26 დეკემბრის განცხადებით ხარვეზის შევსების თაობაზე სასამართლოს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ ა. ც.-ს სახელზე რიცხული ქონების თაობაზე ამონაწერი ვერ მოიძია საჯარო რეესტრში და მიმართა ტექბიუროს არქივს, საიდანაც 10 დღის ვადაში ელოდებოდა პასუხს. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა მ. შ.-მ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს, რადგან მას არ მიუმართავს განცხადებით საჯარო რეესტრისა და არქივისათვის ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, რაც დადასტურებულია მის მიერ განხილვის კოლეგიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებით.

6.9 ადვოკატმა მ. შ.-მ კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენა არაკანონიერი საშუალებები, რაც გამოიხატა სასამართლოსათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში კლიენტის საქმის წარმოების დროს. შესაბამისად, ადვოკატმა მ. შ. დაარღვია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

6.10 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა მ. შ.-მ დაარღვია:

ა) ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და
ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა”, რაც გამოიხატა ადვოკატ მ. შ.-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობაში. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა მ. შ.-მ არ შეავსო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი ლ. ც.-ს საქმეზე, კერძოდ, არ

მოიძია ა. ც.-ს სახელზე რიცხული ქონების თაობაზე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და არქივიდან და არ წარადგინა სასამართლოში.

6.11 ადვოკატი კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელებისას იღებს ვალდებულებას კლიენტის სახელით და მის ნაცვლად, თავად განახორციელოს საქმის წარმოების პროცესში აუცილებელი ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა, საგამონაკლისო საპროცესო მოქმედებებისა.

6.12 ადვოკატი კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში ვალდებულია კლიენტის საქმე სათანადოდ მოამზადოს, შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოქმედება, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები, თუ საწინააღმდეგო შეთანხმება არ არის კლიენტთან, რომ სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღოს, ან კლიენტის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანოს.

6.13 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, თუმცა, ადვოკატის მიერ კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მხოლოდ სარჩელის მომზადება და სასამართლოში შეტანა. ადვოკატმა სრულყოფილად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესების საქმის წარმოების შემდგომ ეტაპებზეც და წარადგინოს სათანადო მტკიცებულებები კლიენტის საქმესთან დაკავშირებით.

6.14 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #074/10 განმარტა: *„ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185–ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში სასამართლოს მიერ სარჩელზე დადგენილი ხარვეზის შევსება და თუ ასეთი შევსება კლიენტის ჩართულობას მოითხოვს, მაშინ კლიენტის დროული ინფორმირება ხარვეზის შევსების საჭიროების თაობაზე.“*

6.15 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა მ. შ.-მ არ შეასრულა საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ვერ უზრუნველყო კლიენტის კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელება, რაც გამოიხატა ადვოკატის უმოქმედობაში სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების დროს.

6.16 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ 2011 წლის 30 აგვისტოს რწმუნებულების თანახმად, ადვოკატ მ. შ.-ს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, ემოქმედა საჩივრის ავტორის სახელით და განეხორციელებინა კანონმდებლობით განსაზღვრული საპროცესო

მოქმედებები. 2011 წლის 30 აგვისტოს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების 3.1.3. პუნქტის მიხედვით, ადვოკატი უფლებამოსილი გახლდათ კლიენტისაგან მოეთხოვა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დროული გადაცემა, ასევე ხელშეკრულების 3.2.6. პუნქტის მიხედვით კლიენტის გააჩნდა ვალდებულება წარედგინა და გადაეცა ადვოკატისთვის მის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და ინფორმაცია. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს, რომ კლიენტმა მის ხელთ არსებული დოკუმენტები მიაწოდოს ადვოკატის და არ უნდა იქნეს გაგებული კლიენტის ვალდებულებად თავად მოიპოვოს მტკიცებულებები და წარუდგინოს ადვოკატს საქმის წარმოების პროცესში.

6.17 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ ადვოკატმა მ. შ.-მ არაერთხელ მიმართა სასამართლოს ხარვეზისათვის დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე და განუმარტა, რომ მტკიცებულებების მოპოვებისათვის ესაჭიროებოდა გარკვეული დრო, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატ მ. შ.-ს თავად უნდა მოეპოვებინა და წარედგინა მტკიცებულება კლიენტის საქმის თაობაზე სასამართლოში.

6.18 ადვოკატმა მ. შ.-მ არ მიმართა განცხადებით საჯარო რეესტრსა და არქივს ა. ც.-ს სახელზე რიცხული ქონების ამონაწერის მიღების მიზნით და ვერ შეავსო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წლის 3 იანვრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი იმის მიუხედავად, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა ადვოკატის განცხადებების საფუძველზე სამჯერ გააგრძელა.

6.19 ადვოკატ მ. შ.-ს უმოქმედობის შედეგად ლ. ც.-ს ინტერესებს მიადგა ზიანი, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 იანვრის განჩინებით არ მიიღო წარმოებაში მისი სარჩელი მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო. შესაბამისად, ადვოკატმა მ. შ.-მ დაარღვია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 ,,ე“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

6.20 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა მ. შ.-მ დაარღვია:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია..., რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან და “

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდეს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის და საქმის მიმდინარეობის თაობაზე,“ რაც გამოიხატა ადვოკატ მ. შ.-ს მიერ ლ. ც.-სათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში.

6.21 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა მ. შ.-მ ლ. ც.-ს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეიტანა განცხადება საჯარო რეესტრსა და არქივში ა. ც.-ს სახელზე რიცხული ქონების თაობაზე ამონაწერის მიღების მიზნით.

6.22 ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს სათანადოდ ინფორმაცია საქმის მსვლელობის შესახებ, რაც გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად. კლიენტისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება.

6.23 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #074/10 დაადგინა: ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება უშუალოდ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე.“

6.24 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა მ. შ.-მ ლ. ც.-ს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მის საქმესთან დაკავშირებით შეიტანა განცხადებები საჯარო რეესტრსა და არქივში და ელოდებოდა პასუხს. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, კლიენტს გააჩნდა გონივრული მოლოდინი, რომ ადვოკატი მოიპოვებდა მის საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს და შეავსებდა სასამართლოს მიერ მის სარჩელზე დადგენილ ხარვეზს.

6.25 ეთიკის კომისია ხაზს უსვამს, ადვოკატის მიერ კლიენტისთვის მისი სახელით წარდგენილ სარჩელზე, სასამართლოს მიერ ხარვეზის შევსების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობას, რადგან სარჩელზე ხარვეზის შეუვსებლობის შედეგად სარჩელი არ იქნება მიღებული წარმოებაში და წარმოშობა მოთხოვნის დაყენებისთვის კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფრთხე.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტით, მე-5 მუხლის „ე“ პუნქტით, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილი, ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების მე-19 და მე-20 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ მ. შ.-ს მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლი შეინახოს დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილი კონვერტით. მისი გახსნა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ადვოკატ მ. შ.-ს წინააღმდეგ დაიწყება ახალი დისციპლინური დევნა.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი გადაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.
4. ადვოკატ მ. შ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან 1 თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ცირა შუბითიძე/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /გიორგი ბეგიაშვილი/

III კოლეგიის წევრის ირაკლი კორძახიას

ნაწილობრივ თანმხვედრი აზრი

ეთიკის კომისიის 2012 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

1. ვეთანხმები ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ადვოკატ მ. შ-ის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილის დარღვევისა და აღნიშნული დარღვევების სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში.

2. არ ვიზიარებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ადვოკატ მ. შ-სათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების - კერძო სარეკომენდაციო ბარათის დაკისრების თაობაზე.

3. მიმაჩნია, რომ ადვოკატ მ. შ-ის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვეული ნორმების შინაარსიდან და რაოდენობიდან გამომდინარე, ადვოკატ მ. შ-სათვის პრორპორციულ დისციპლინურ სახდელს წარმოადგენს გაფრთხილება.

ირაკლი კორძახია,

კოლეგიის წევრი